საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-51
2014 წლის 25 თებერვალი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ

„საჯარო-სამართლის იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო- კვლევითი ცენტრის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №162 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის თანდართული დებულება.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **დავით გალეგაშვილი**

დანართი №1

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 5 მაისის ბრძანება №2-95 - ვებგვერდი, 05.05.2014წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (შემდგომში-ცენტრი) წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

2. ცენტრი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი საქმიანობას წარმართავს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

3. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად ცენტრს აქვს სპეციალური უფლებამოსილება. იგი საკუთარი სახელით უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულებები, აწარმოოს მოლაპარაკებები და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

4. ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო, მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშები, ლოგო, ბეჭედი, აგრეთვე იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

5. ცენტრის დაფინასების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

6. ცენტრის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6.

მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის მიზანი

ცენტრის საქმიანობის მიზანია:

ა) სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სურსათის წარმოების ხელშეწყობა, ახალი ტექნოლოგიების კვლევა-დანერგვა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა ცნობადობის ამაღლება;

ბ) სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში რისკის შეფასების უზრუნველყოფა;

გ) ბიომეურნეობის განვითარების ხელშეწყობა;

დ) მცენარეთა და ცხოველთა აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობა;

ე) თესლისა და სარგავი მასალების სტანდარტების შემუშავება და სერტიფიცირება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 5 მაისის ბრძანება №2-95 - ვებგვერდი, 05.05.2014წ.

მუხლი 3. ცენტრის ფუნქციები
ცენტრის ფუნქციებია:
ა) სასელექციო მეურნეობების მოწყობა და ჯიშთა გამოცდის განხორციელება;

ბ) რეკომენდებული ჯიშების შესახებ მონაცემების გამოქვეყნება და რეგისტრირებულ ჯიშთა რეესტრის წარმოება;

გ) ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების გენოფონდის აღწერა, გენეტიკური და საინფორმაციო ბანკების შექმნა;

დ) ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების სათესლე და სარგავი მასალების წარმოების ტექნოლოგიის დანერგვის ხელშეწყობა;

ე) მრავალწლოვანი კულტურების აგროტექნოლოგიური კვლევა და გენოფონდის შენარჩუნება;

ვ) მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემების შემუშავება;

ზ) სათესლე და სარგავი მასალის ხარისხის შემოწმება (აღმოცენება, ენერგია, სიწმინდე და სხვა) და სერტიფიცირება;

თ) სოფლის მეურნეობაში ბიოაგროწარმოების დანერგვის ხელშეწყობა;

ი) ნიადაგის კვლევა ხარისხობრივი მაჩვენებლის შესწავლის და ნაყოფიერების დადგენის მიზნით;

კ) სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში რისკის შეფასება;

ლ) ახალი ტექნოლოგიების გავრცელება, სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა;

მ) თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების დანერგვის ხელშეწყობა;

ნ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული კვლევები;

ნ^{1}) სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვა-გადამუშავების კვლევა;

ო) კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 5 მაისის ბრძანება №2-95 - ვებგვერდი, 05.05.2014წ.

მუხლი 4. ცენტრის მოვალეობები
ცენტრის მოვალეობებია:
ა) შეასრულოს ამ დებულებით დაკისრებული ფუნქციები და განახორციელოს მინიჭებული უფლებამოსილებანი;

ბ) უზრუნველყოს თავისი საქმინობის ობიექტურობა, სიზუსტე და გამჭვირვალობა;

გ) ითანამშრომლოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან, საერთაშორისო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;

დ) მიაწოდოს ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დადგენილი წესით.

მუხლი 5. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრი მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფების მეშვეობით.

1[1]. ცენტრის სტრუქტურულ ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს უფროსი. სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს უფროსის მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - ცენტრის დირექტორის დავალებით შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთ-ერთი თანამშრომელი.

2. ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:
ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი, რომლის შემადგენლობაშია:
ა.ა) იურიდიული სამმართველო;
ა.ბ) ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამმართველო;
ა.გ) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველო;
ა.დ) ქონების მართვის სამმართველო;
ა.ე) სამეურნეო და ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო;
ბ) ფინანსური სამსახური;

გ) ეკონომიკური ანალიზისა და სტრატეგიული კვლევის სამსახური;
დ) მრავალწლოვანი კულტურების კვლევისა და სარგავი მასალების წარმოების დეპარტამენტი;
ე) ერთწლოვანი კულტურების კვლევის დეპარტამენტი;
ვ) სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვა–გადამუშავების კვლევის სამსახური;
ზ) ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახური;
თ) ბიოაგროწარმოების სამსახური;
ი) მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების კვლევის დეპარტამენტი;
კ) მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის კვლევის დეპარტამენტი;
ლ) თესლის და სარგავი მასალების სტანდარტებისა და სერტიფიცირების სამსახური;
მ) აგროსაინჟინრო კვლევის სამსახური;
ნ) საზოგადოებასთან, რეგიონებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების სამსახური;
ო) რისკის შეფასების სამსახური;
[პ) მარცვლოვანი კულტურების კვლევის სამსახური.*(ამოქმედდეს 2015 წლის 15 სექტემბრიდან)*]
საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 5 მაისის ბრძანება №2-95 - ვებგვერდი, 05.05.2014წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №2-199 - ვებგვერდი, 13.10.2014წ.
საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 20 მარტის ბრძანება №2-71- ვებგვერდი, 20.03.2015წ.
საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №2-202 - ვებგვერდი, 07.09.2015წ.

მუხლი 6. ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები

1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) ცენტრის საქმისწარმოების ორგანიზება და არქივის წარმოება, სახელმწიფო უწყებიდან, ფიზიკური ან იურიდიული პირებისაგან, შემოსული წერილების ან ცენტრში წარმოებული სხვა ნებისმიერი დოკუმენტაციის თუ კორესპონდენციის რეგისტრაცია, მათი მოძრაობის ან შესრულებულ დავალებათა აღრიცხვა;
ბ) ცენტრის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, ცენტრის ინტერესების სამართლებრივი დაცვა;
გ) იმ ხელშეკრულებათა შედგენა ან/და მათ შედგენაში მონაწილეობის მიღება, რომლებშიც მხარედ წარმოდგენილია ცენტრი;
დ) კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი დარგის სპეციალისტების მონაწილეობით, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მიღებული განცხადებების, საჩივრებისა და წერილების განხილვა;
ე) საერთაშორისო ურთიერთობებში, სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ინტერესების წარმოდგენა;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაცემა;
ზ) ცენტრის თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება და თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვა;
თ) ცენტრის თანამშრომლების საქართველოში და საზღვარგარეთ (სემინარებზე, კონფერენციებზე და სხვა) სამივლინებო დოკუმენტების მომზადების უზრუნველყოფა;
ი) ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების ტექნიკური უზრუნველყოფა;
კ) უზრუნველყოს ცენტრის უძრავ-მოძრავი ქონების აღრიცხვა, რეგისტრაცია და ელექტრონული საინფორმაციო ბაზების (რეესტრის) წარმოება;
ლ) სამეურნეო, სარემონტო, სამშენებლო და მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფა, ქონების ინვენტარიზაციის ჩატარების ორგანიზება;
მ) ცენტრის ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და სხვა რესურსების

გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
ნ) მატერიალურ ფასეულობათა მიღების, აღრიცხვის, შენახვისა და მათი მდგომარეობის კონტროლის განხორციელება;
ო) სასაწყობო მეურნეობის წარმართვა.
2. ფინანსური სამსახურის ფუნქციებია:
ა) საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობების წარმართვა, ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება, ფინანსური ანალიზი;
ბ) ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე კონტროლი;
გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება.

3. ეკონომიკური ანალიზისა და სტრატეგიული კვლევის სამსახურის ფუნქციებია:
ა) სოფლის მეურნეობის დარგობრივი, რეგიონული და საწარმოო რესურსული პოტენციალის დადგენა და შეფასება;
ბ) სტრატეგიული პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა;
გ) მიწის რესურსების გამოყენების შეფასება;
დ) ერთწლოვანი, მრავალწლოვანი კულტურების, მეცხოველეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის დარგობრივი, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება.
4. მრავალწლოვანი კულტურების კვლევისა და სარგავი მასალების წარმოების დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) სასოფლო–სამეურნეო მცენარეთა გაშენებისა და მოვლის უსაფრთხო, თანამედროვე ბიოდინამიკური ტექნოლოგიების კვლევა, დამუშავება, დანერგვა;
ბ) ჯანსაღი სამყნობი და სარგავი მასალების ქვეყნის შიგნით წარმოების ინტენსიური ტექნოლოგიების კვლევა, შემუშავება, სერტიფიცირებული ნერგის წარმოების ხელშეწყობა;
გ) სასოფლო–სამეურნეო კულტურათა გენეტიკური და ფენოტიპური კვლევა, მოძიება, გენოფონდის დაცვა–კონსერვაცია;
დ) ახალი ჯიშების, მათ შორის, საძირეების ინტროდუქცია, სელექცია და ჯიშთა გამოცდა, პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება.
5. ერთწლოვანი კულტურების კვლევის დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) კარტოფილის, ბოსტნეულის, ბაღჩეული, მარცვლეული და პარკოსანი კულტურების თესვისა და მოვლა–მოყვანის ტექნოლოგიების კვლევა, დამუშავება, გავრცელება, ადგილი თესლბრუნვაში;
[ა) კარტოფილის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის და საბოსტნე პარკოსანი კულტურების თესვისა და მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების კვლევა, დამუშავება, გავრცელება. ***(ამოქმედდეს 2015 წლის 15 სექტემბრიდან)]***
ბ) ჯიშთა გამოცდა, შერჩევა, სელექციურ მიღწევათა პოპულარიზაცია;
გ) რეგიონებში ჯიშთა გამოცდის ნაკვეთების მოწყობა;
დ) კარტოფილის ელიტური სარგავი მასალის მიღების თანამედროვე ტექნოლოგიების სრულყოფა, დამუშავება, დანერგვა In vitro პირობებში;
ე) თესლის, საჩითილე და სარგავი მასალის წარმოების ტექნოლოგიების კვლევა, შემუშავება ღია და დახურულ გრუნტში;
ვ) საქართველოს პირობებისთვის აპრობირებული, ამჟამად არაკულტივირებული, მივიწყებული ჯიშების კვლევა და აღდგენის ხელშეწყობა;
ზ) მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების ჯიშების გავრცელების ხელშეწყობა.
[ზ) (ამოღებულია - 04.09.2015, №2-202). ***(ამოქმედდეს 2015 წლის 15 სექტემბრიდან)]***
6. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვა–გადამუშავების კვლევის სამსახურის ფუნქციებია:
ა) სოფლის მეურნეობის პროდუქტების ორგანოლეპტიკური და სამეურნეო ტექნოლოგიური მახასიათებლების კვლევა;
ბ) სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და შენახვა–გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების კვლევა;
გ) ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების კვლევა.
7. ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის ფუნქციებია:
ა) ნიადაგების ნაყოფიერების შესწავლა;
ბ) დეგრადირებული ნიადაგების სტრუქტურის გაუმჯობესება და ნაყოფიერების ამაღლების კვლევა, დანერგვა;
გ) ნიადაგის ტენმომარაგებისა და რწყვის წესების მეცნიერული უზრუნველყოფა;
დ) ნიადაგის დამუშავების სისტემების შესწავლა ერთწლიან და მრავალწლიან კულტურებში;
ე) ნიადაგის განოყიერების სისტემების რეგულირება, ნარჩენი ნივთიერებების ზემოქმედების შესწავლა;
ვ) ნიადაგთან დაკავშირებული რისკის ფაქტორების კვლევა და შეფასება.
8. ბიოაგროწარმოების სამსახურის ფუნქციებია:
ა) ბიოაგროწარმოების თვისებრივი მახასიათებლების კვლევა და რეკომენდაციების შემუშავება;
ბ) ბიოლოგიური ნივთიერებების კვლევა და მათი გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება;
გ) ბიოაგროწარმოების ბიოეკოლოგიური და ეკონომიკური ეფექტურობის კვლევის მეთოდების შემუშავება.
9. მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების კვლევის დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) სასოფლო–სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ენდემური ჯიშების სანაშენე და პროდუქტიული თვისებების გაუმჯობესების მიზნით კვლევა;
ბ) მაღალპროდუქტიული ჯიშების გავრცელება, გამრავლება და მოვლის თანამედროვე ტექნოლოგიური კვლევის შემუშავება;

გ) სანაშენე აღრიცხვის ერთიანი სისტემის შემუშავება და სანაშენე პირუტყვზე საინფორმაციო ბანკის შექმნა;
დ) ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების გენოფონდის შექმნა.
10. მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის კვლევის დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემების კვლევა და დანერგვის ღონისძიებების შემუშავება;
ბ) მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების (სოკოვანი, ბაქტერიული, ვირუსული, ვიროიდული და ფიტოპლაზმური) კვლევა და ბრძოლის თანამედროვე ღონისძიებების შემუშავება;
გ) სარეველა მცენარეების კვლევა და ბრძოლის თანამედროვე ღონისძიებების შემუშავება;
დ) მცენარეთა ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის მეთოდების (ახალი პესტიციდების) კვლევა;
ე) საკარანტინო მავნე ორგანიზმების კონტროლის მექანიზმების შემუშავება.
11. თესლისა და სარგავი მასალების სტანდარტებისა და სერტიფიცირების სამსახურის ფუნქციებია:
ა) მცენარეთა თესლისა და სარგავი მასალების სტანდარტის – ტექნიკური (ბიომეტრიული) მახასიათებლების კონტროლის მექანიზმების შემუშავება;
ბ) თესლისა და სარგავი მასალების ფიტოსანიტარიული კონტროლის მექანიზმების შემუშავება;
გ) თესლისა და სარგავი მასალების სერტიფიცირების სისტემების კვლევა;
დ) თესლისა და სარგავი მასალების სტანდარტების შემუშავება და სერტიფიცირება;
ე) სათესლე და სარგავ მასალაზე შესაბამისობის შეფასების სამუშაოთა განხორციელება და სერტიფიკატების გაცემა.
12. აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის ფუნქციებია:
ა) სასოფლო–სამეურნეო ოპერაციებისათვის განკუთვნილი თანამედროვე ტექნიკური საშუალებების კვლევა, კლასიფიცირება – საქართველოს მრავალფეროვანი ნიადაგური და კლიმატური პირობების გათვალისწინებით;
ბ) ნიადაგის დასამუშავებელი სასოფლო–სამეურნეო აგრეგატების კვლევა;
გ) მცირემიწიანი, მთაგორიანი ადგილების ნიადაგების მექანიზებული ღონისძიებების კვლევა და გავრცელება;
დ) სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და შენახვა–გადამუშავებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის კვლევა.
13. საზოგადოებასთან, რეგიონებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების სამსახურის ფუნქციებია:
ა) მედიასთან ურთიერთობის წარმართვა ცენტრის მიერ განხორციელებული ღონისძიებების საზოგადოებრივად გაშუქების მიზნით;
ბ) ცენტრის ოფიციალური ვებგვერდის და სოციალური ქსელის ადმინისტრირება, ინფორმაციის პერიოდული განახლება;
გ) ახალი ტექნოლოგიების გავრცელების ხელშეწყობა (ექსტენცია), საჩვენებელი და სადემონსტრაციო ღონისძიებების მოწყობა;
დ) მუნიციპალიტეტებში სამინისტროს საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურებთან თანამშრომლობა;
ე) სამეცნიერო კვლევებისა და ანალიზის შედეგად მიღებული ინოვაციური ტექნოლოგიების, სასოფლო –სამეურნეო კულტურათა, ახალი ჯიშების და ჰიბრიდების, თესლისა და სარგავი მასალების ბეჭდური და საილუსტრაციო მასალების გავრცელება;
ვ) რეგიონებში სემინარების ჩატარების ორგანიზება, მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების მოვლა - მოყვანის, დაცვის, სასოფლო – სამეურნეო პროდუქტების წარმოების, შენახვა – გადამუშავების და სხვა სამეწარმეო საქმიანობის შესახებ;
ზ) ცენტრის წარმომადგენლების ოფიციალური და სამუშაო ვიზიტების კოორდინაცია;
თ) ცენტრში შემოსულ კორესპონდენციის განხილვა;
ი) ურთიერთობის კოორდინაცია საერთაშორისო ან/და დონორ ორგანიზაციებთან, თემატურად დაკავშირებულ უცხო ქვეყნის სახელმწიფო და კერძო ინსტიტუციებთან;
კ) ცენტრის სახელით მონაწილეობის მიღება საერთაშორისო კონფერენციებში, გამოფენებში, პრეზენტაციებში, სემინარებსა და ტრენინგებში;
ლ) რეგიონებიდან ინფორმაციის მოპოვება და მისი მიწოდება ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის.
14. რისკის შეფასების სამსახურის ფუნქციებია:
ა) მოსახლეობისა და ცხოველთა ჯანმრთელობაზე, აგრეთვე მცენარეთა სიჯანსაღეზე რისკის შეფასების პროცედურების ორგანიზება;
ბ) საფრთხეების იდენტიფიცირება, აღწერა და რისკების მისაღები დონის დადგენა;
გ) რისკებთან დაკავშირებული ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ხელმისაწვდომი, მეცნიერულად დასაბუთებული შედეგებისა და მონაცემების მოძიება და ანალიზი;
დ) რისკის მართვაზე პასუხისმგებელ ორგანოებთან თანამშრომლობა;
ე) საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
ვ) საფრთხეებთან დაკავშირებით სამეცნიერო დასკვნის წარდგენა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.
[15. მარცვლოვანი კულტურების კვლევის სამსახურის ფუნქციებია:
ა) მარცვლოვანი კულტურების ჯიშთა გამოცდა, გასავრცელებლად შერჩევა, სელექციური სამუშაოების წარმოება;
ბ) მიკიწყებული და ნაკლებად გავრცელებული მარცვლოვანი კულტურების რეაბილიტაცია და მათი აგროტექნიკის დამუშავება, თესლბრუნვაში მათი ადგილის შერჩევა და ათვისება;
გ) მარცვლოვანი კულტურების კონდიციური თესლის მიღების ტექნოლოგიების სრულყოფა და

ფერმერულ მეურნეობაში გავრცელების რეკომენდაციების დამუშავება;
დ) მარცვლოვანი კულტურების ენდემების მოპოვება, სელექციური გაუმჯობესება, გამრავლება და კომერციული შეფასება, მათი გენეტიკურ ბანკში განთავსება და პოპულარიზაცია;
ე) მარცვლოვანი კულტურების წარმოების მინდვრის დღეების მოწყობა, ფერმერთა ტრეინინგების ორგანიზება, ამ კულტურების ფერმერთათვის შეთავაზება მუნიციპალიტეტების მიხედვით ჯიშების შესარჩევად და გასავრცელებლად;
ვ) მარცვლოვანი კულტურების თანამედროვე აგროტექნიკის სრულყოფა, მასში ბიო, ნანო და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება. ***(ამოქმედდეს 2015 წლის 15 სექტემბრიდან)]***

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 5 მაისის ბრძანება №2-95 - ვებგვერდი, 05.05.2014წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №2-199 - ვებგვერდი, 13.10.2014წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 20 მარტის ბრძანება №2-71- ვებგვერდი, 20.03.2015წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №2-202 - ვებგვერდი, 07.09.2015წ.

მუხლი 7. ცენტრის მართვა და წარმომადგენლობა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.
2. ცენტრის დირექტორი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს ცენტრს მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში და პერსონალურად აგებს პასუხს ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისა და მისი საქმიანობის სწორად წარმართვაზე.

3. დირექტორი მოქმედებს ცენტრის სახელით და მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ცენტრს სახელმწიფო ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში.

4. ცენტრის დირექტორს ჰყავს მოადგილე(ები), რომელსაც საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის დირექტორი.

5. ცენტრის დირექტორის არყოფნისას ან მის მიერ უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ცენტრის დირექტორის მოვალეობებს ასრულებს ცენტრის დირექტორის მოადგილე.

6. ცენტრის დირექტორი:

ა) ორგანიზაციას უწევს და ხელმძღვანელობს ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას;

ბ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) თანამშრომლებს შორის ანაწილებს უფლება-მოვალეობებს;

დ) საჭიროების შემთხვევაში ამზადებს და წარუდგენს წინადადებებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრს ცენტრის დებულებასა და სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

ე) ქმნის სამეცნიერო, ექსპერტთა და საკონსულტაციო საბჭოებს, საკონკურსო და საატესტაციო კომისიებს;

ვ) აფორმებს ხელშეკრულებებს შესაბამის ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ზ) აკონტროლებს ხარჯთაღრიცხვით გამოყოფილი თანხების მიზნობრივ ხარჯვას;

თ) კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ცენტრის თანამშრომლების წახალისებას ან დისციპლინურ ღონისძიებებს;

თ[1]) უფლებამოსილია ცენტრის თანამშრომელთათვის დაადგინოს დანამატი, რომლის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრთან შეთანხმებით.

ი) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №2-199 - ვებგვერდი, 13.10.2014წ.
საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 20 მარტის ბრძანება №2-71- ვებგვერდი, 20.03.2015წ.

მუხლი 8. ცენტრის სახელმწიფო კონტროლი

1. ცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო.

2. ცენტრი ვალდებულია კონტროლის განსახორციელებლად სოფლის მეურნეობის მინისტრს მოთხოვნისთანავე წარმოუდგინოს შესაბამისი ინფორმაცია და მასალები.

3. ცენტრს სამინისტროს თანხმობით შეუძლია:

ა) უძრავი ქონების შეძენა, ცენტრის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება და დატვირთვა;

ბ) თავდებობა;

გ) სესხის აღება;

დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე ცენტრის მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;

ვ) სხვა გადაწყვეტილებების მიღება ცენტრის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

4. ამ მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

5. ცენტრი მისთვის გადაცემული სახელმწიფო ქონების განკარგვას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ცენტრი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგებას, ადგენს ბალანსს და დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს.

მუხლი 9. ცენტრის დაფინანსების წყარო

1. ცენტრის დაფინანსების წყაროა:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;

ბ) სახელმწიფო შეკვეთების შესრულების შედეგად მიღებული შემოსავალი;

გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

2. ცენტრის მიერ მიღებული სახსრები და შემოსავლები მთლიანად ხმარდება ცენტრის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 10. ცენტრის ქონება

1. ცენტრის ქონება შედგება მისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს, კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გადაცემული, ასევე საკუთარი სახსრებით შეძენილი ქონებისაგან.

2. ცენტრის ქონებას შეადგენს ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე სხვა მატერიალური ფასეულობები და ფინანსური რესურსები, რომლებიც აისახება ცენტრის დამოუკიდებელ ბალანსზე.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებანი

1. ცენტრის დებულებაში ცვლილების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.